განათლების საერთაშორისო სტანდარტი 1

პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელი მოთხოვნები

შინაარსი

პუნქტები

შესავალი

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო 1-5

ძალაში შესვლის თარიღი 6

მიზანი 7

მოთხოვნები 8-10

განმარტებითი მასალა

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო ა1-ა3

მიზანი ა4–ა6

მოთხოვნები ა7–ა12

შესავალი

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები ა1-ა3)

1. წინამდებარე განათლების საერთაშორისო სტანდარტი (გსს) ადგენს პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამებში ჩართვისთვის აუცილებელი განათლების მოთხოვნების დასადგენად და ინფორმირებისთვის, ხოლო პროფესიაში ჩართვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს არეგულირებს:
   ა) გსს 2 – *საწყისი პროფესიული განვითარება – ტექნიკური კომპეტენტურობა* (2015);
   ბ) გსს 3 – *საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული უნარები* (2015)
   გ) გსს 4 – *საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა* (2015)
   დ) გსს 5 – *საწყისი პროფესიული განვითარება – პრაქტიკული გამოცდილება* (2015); და
   ე) გსს 6 – *საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული კომპეტენტურობის შეფასება* (2015).
2. სტანდარტი განკუთვნილია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) წევრი ორგანიზაციებისთვის. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამებში ჩართვისთვის აუცილებელი მოთხოვნების დადგენასა და ინფორმირებაზე. გარდა ამისა, ეს სტანდარტი სასარგებლო იქნება სასწავლო დაწესებულებებისთვის, დამქირავებელი ორგანიზაციების, მარეგულირებელი ორგანოების, სახელმწიფო უწყებებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისთვის, რომელიც თვითონ ახორციელებს ან მატერიალურად უწყობს ხელს ბუღალტერთა პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელებას.
3. ამ სტანდარტში ახსნილია პრინციპი, რომელიც პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში ჩართვას ადვილად ხელმისაწვდომს ხდის ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების ეგიდით, და ამავე დროს უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების წარმატებით დასრულების რეალური შესაძლებლობა ექნებათ. სტანდარტში განმარტებულია, რას ნიშნავს: (ა) პროგრამის წარმატებით დასრულების რეალური შესაძლებლობა; (ბ) პროგრამაში ჩართვის მოთხოვნების მიზანშეწონილობა და (გ) პროგრამაში ჩართვის მოთხოვნების განსხვავებული ფორმები.
4. სტანდარტი აღიარებს, რომ პროგრამაში ჩართვის მოთხოვნები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს სხვადასხვა იურისდიქციაში, იმის გამო, რომ (ა) განსხვავებულია ბუღალტერთა პროფესიული განათლების პროგრამაში ჩართვის გზები და (ბ) სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებულია მართვისა და რეგულირების სისტემები. სტანდარტი ასევე აღიარებს, რომ პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამის მთლიანად დასრულება, ბუღალტერთა პროფესიული განათლების პროგრამებიდან გამოსვლის მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია.
5. წინამდებარე სტანდარტში და *პროფესიონალი ბუღალტრებისა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების განათლების საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურულ საფუძვლებში* (2015) გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებები მოცემულია ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებულ *ტერმინების გლოსარში* (2015).

ძალაში შესვლის თარიღი

6. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის 2014 წლის 1 ივლისიდან.

მიზანი (იხ. პუნქტები ა4–ა6)

7. ბსფ-ს წევრი ორგანიზაციის მიზანია, შემოიღოს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში ჩართვისთვის აუცილებელი განათლებისთვის სამართლიანი და თანაზომიერი მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს დაიცავს მაღალი ხარისხის სტანდარტების დადგენითა და ამოქმედებით.

მოთხოვნები (იხ. პუნქტები ა7–ა12)

8. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა იმგვარი განათლების მოთხოვნები უნდა განსაზღვრონ პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამებში ჩართვისთვის, რომლებიც პროგრამაში ჩართვის საშუალებას მისცემს მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამების წარმატებით დასრულების რეალური შესაძლებლობა აქვთ და ამავე დროს არ შექმნის მეტისმეტ დაბრკოლებებს პროგრამაში ჩართვისთვის.
9. როდესაც განსაზღვრავს პროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელი განათლების მოთხოვნებს, ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის შესაბამის სასწავლო დაწესებულებებსა და პიროვნებებს, რომლებმაც თავისი კარიერისთვის აირჩიეს პროფესიონალი ბუღალტრის პროფესია, უნდა დაუსაბუთონ, რის საფუძველზე განსაზღვრეს ზემოაღნიშნული პრინციპები.
10. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადონ შესაბამისი ინფორმაცია, რათა პროფესიონალ ბუღალტრად გახდომის მსურველებს დაეხმარონ, პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამის წარმატებით დასრულების საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაში.

ახსნა-განმარტებითი მასალა

სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები 1–5)

ა1. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამები იმისთვისაა განკუთვნილი, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს დაეხმაროს სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის დაუფლებაში საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს. ამგვარი პროგრამები შეიძლება მოიცავდეს ფორმალურ განათლებას, რომლის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტების, სხვა უმაღლესი სასწავლებლების, ბსფ-ის წევრი ორგანიზაციებისა და დამქირავებელი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული კვალიფიკაციებისა (ხარისხების) და კურსების მეშვეობით, ასევე სამუშაო ადგილებზე სწავლებით. შესაძლებელია, რომ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მოდელის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების გარდა სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა.

ა2. ბსფ-ის წევრ სხვადასხვა ორგანიზაციას პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში ჩართვის მოთხოვნებზე კონტროლის განსხვავებულ დონეებზე მიუწვდებათ ხელი. მაგალითად, ზოგიერთ იურისდიქციაში ამ პროგრამებში ჩართვის მოთხოვნებს შეიძლება ადგენდნენ უნივერსიტეტები ან მთავრობა. ბუღალტრის პროფესიამდე მისასვლელი სხვადასხვა გზა არსებობს. მაგალითად, (ა) ტრადიციული ხარისხის დონე; (ბ) გამოცდილების შეძენა დარგში მუშაობით და (გ) ჩართვა საშუალო განათლების დონიდან. გარდა ამისა, სხვადასხვა იურისდიქციასა და ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შრომის ბაზართან დაკავშირებით განსხვავებული სირთულეები ექნებათ.

ა3. წევრობის ვალდებულებების შესასრულებლად ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს სხვადასხვა ზომის მიღება შეუძლიათ. მაგალითად, ამის საილუსტრაციოდა შეიძლება მოვიყვანოთ სიტუაცია, როდესაც პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნებს ბსფ-ის წევრი ორგანიზაცია კი არ ადგენს, არამედ უნივერსიტეტი. ასეთ შემთხვევაში ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია მუშაობა უნივერსიტეტთან, რათა აუხსნას მათ წინამდებარე განათლების

საერთაშორისო სტანდარტის მიზანი და გააგებინოს, რომ მისი მოთხოვნების შესრულება სტუდენტებს უფრო გაუადვილებს ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის წევრად გახდომას.

მიზანი (იხ. მე-7 პუნქტი)

ა4. ყველა გსს გამიზნულია საზოგადოების ინტერესების დასაცავად. წინამდებარე გსს ამას აკეთებს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნების განსაზღვრით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ სტანდარტი განათლების გზების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილებები მიღებაში ეხმარება იმ პიროვნებებს, რომლებიც თავის კარიერას უკავშირებენ პროფესიონალ ბუღალტრად გახდომას. გარდა ამისა, პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნები უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ პროგრამებში ჩართვა ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მათთვის, ვისაც წარმატების შანსი აქვს. ბუღალტრის პროფესიაში ჩართვას უზრუნველყოფს გსს 2, 3, 4, 5 და 6-ის მოთხოვნები, რომლებიც ეხება ტექნიკურ კომპეტენტურობას, პროფესიულ უნარებს, პროფესიულ ფასეულობებს, ეთიკასა და ქცევას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და შეფასებას და იმისთვისაა განკუთვნილი, რომ ბუღალტრის პროფესიის წარმომადგენლები დაეუფლონ პროფესიული კომპეტენტურობის სათანადო დონეს.

ა5. წინამდებარე გსს საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურება ისეთი საკითხების გადაჭრით, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიონალ ბუღალტრად გახდომის მსურველების საკმარის რაოდენობას, რომლებიც ამავე დროს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები იქნებიან. ამ მიზნით სტანდარტი ადგენს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნებისთვის გარკვეულ პრინციპებს, რომლებიც არც ძალიან მკაცრია (იმ თვალსაზრისით, რომ ზედმეტი ბარიერები შექმნას პროფესიაში ჩართვისთვის) და არც ძალიან მარტივი (სუსტი) (იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანებს ცრუ რწმენა ჩამოუყალიბონ იმის შესაძლებლობის შესახებ, რომ ისინი შეძლებენ განათლების პროგრამის წარმატებით დასრულებას). პროგრამაში ჩართვის ამგვარმა მოთხოვნებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს რესურსების ეფექტიანად გამოყენებას და პროფესიონალ ბუღალტრად გახდომის მსურველებს დაეხმაროს საკუთარ კარიერასთან/პროფესიასთან დაკავშირებით დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ა6. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ ადამიანების დახმარება პროფესიის არჩევის შესახებ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაში, კერძოდ იმით, რომ პროფესიონალ ბუღალტრად გახდომის მსურველებს ინფორმაცია მიაწოდონ იმ ტექნიკური კომპეტენ-ტურობის, პროფესიული უნარების, ასევე ფასეულობების, პროფესიული ეთიკისა და ქცევის შესახებ, რასაც უნდა ფლობდნენ ის პირები, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებს. ადამიანები მხოლოდ მაშინ შეძლებენ გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას, თუ მათ ეცოდინებათ აუცილებელი ინფორმაცია. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს მუდმივად შეუძლიათ მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, რათა პროფრესიონალ ბუღალტრად გახდომის მსურველთათვის გაწეული კონსულტაციები ეყრდნობოდეს სარწმუნო ინფორმაციას. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ მაგალითად, შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

ა) პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვის მომენტების ცვალებადობის შესახებ;

ბ) პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვაში მხოლოდ მაშინ შეუწყობენ ხელს, როდესაც ისინი განიხილავენ პროგრამის წარმატებით დასრულების საკუთარ შესაძლებ-ლობებს;

გ) კვალიფიკაციასთან დაკავშირებული გამსვლელი შეფასებები;
დ) გამჭვირვალე ინფორმაცია, რომელიც ეხება პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და დანახარჯებს; ასევე
ე) თვითდიაგნოსტიკის ინსტრუმენტები, როგორიცაა, მაგალითად კომპეტენტურობის სქემები, სადაც განსაზღვრულია ის პროფესიული უნარები, ცოდნა და ქცევის წესები, რომლებსაც შეიძენენ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად.

მოთხოვნები (იხ. პუნქტები 8–10)

ა7. პროგრამის წარმატებით დასრულების გონივრული შესაძლებლობის განსაზღვრა სუბიექტური განსჯის საგანია და დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. ამგვარი შეფასების მიზანია: (ა) პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების დახმარება იმით, რომ ისინი შეძლებისდაგვარად სრულყოფილად იყვნენ ინფორმირებულები, როდესაც გადაწყვეტენ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვას; და ასევე (ბ) წაახალისონ და დაეხმარონ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციებს, რომ მათ მაქსიმალურად სასარგებლო და საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ კანდიდატებს. ეს ფრაზა შეიძლება სხვადასხვანაირად გაიგოს ბსფ-ის წევრმა სხვადასხვა ორგანიზაციამ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების სხვადასხვანაირ პროგრამასთან მიმართებით. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაზღვრონ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც პროგრამის წარმატებით დასრულების რეალურ შესაძლებლობებს შექმნის, მაგალითად, პროფესიონალი ბუღალტრების განათლების ნებისმიერი პროგრამისთვის პროგრამაში ჩართვის ისეთი მოთხოვნების განსაზღვრა, რომლებიც პროფესიონალ ბუღალტრად გახდომის მსურველებს მისცემს აუცილებელ საფუძვლებს/ნიადაგს, რაც მათ პროფესიონალი ბუღალტრისთვის აუცილებელი კომპეტენტურობის დაუფლების საშუალებას მისცემს. ეს შეიძლება გულისხმობდეს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორიცაა, მაგალითად: (ა) ეკონომიკური, სამეწარმეო და მარეგულირებელი გარემო; (ბ) საბაზო ცოდნის დონე; (გ) მოსალოდნელი სწავლების დონე; (დ) ბუღალტრის როლი; და (ე) სხვა შესაბამისი ფაქტორები.

ა8. პროგრამაში ჩართვის მოთხოვნების დასაბუთება შესაძლებელია იმ ტექნიკური კომპეტენტურობის, პროფესიული უნარების, ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების გათვალისწინებით, რომლის დაუფლებაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის. ეს ხელს არ უშლის იმის შესაძლებლობას, რომ მოითხოვებოდეს უმაღლესი განათლების დიპლომი, ან კვალიფიკაცია, რაც აუცილებელია უმაღლესი განათლების მისაღებად. როდესაც განსაზღვრავს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნებს, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია გააანალიზოს, ეს მოთხოვნები ნებისმიერი შემთხვევისთვის იქნება თუ არა მისაღები, ან ხომ არ არის ისინი ზედმეტად მკაცრი ან პირიქით, ტრივიალური. პროგრამაში ჩართვის გადაჭარბებულ ბარიერებს მიეკუთვნება მაგალითად გარკვეული სასწავლებლების კონკრეტული სპეციალობის კვალიფიკაციის მოთხოვნა, ან კონკრეტულ სფეროში მუშაობის გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობის მოთხოვნა. ამგვარი ზედმეტი ბარიერების თავიდან აცილების მიზანია პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობების მოქნილობის უზრუნველყოფა და არა თავად პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების, ან ბუღალტრის პროფესიის მნიშვნელობის/სტანდარტების დაკნინება. სინამდვილეში, მრავალი გზა არსებობს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში ჩართვისა და დასრულებისთვის და ასევე სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი საწყისი პროფესიული განვითარების/განათლების მიღწევა.

ა9. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს უფლება აქვთ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში ჩართვისთვის განსხვავებული მოთხოვნების შემოღების, რადგან პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამები განსხვავებული ტიპის შეიძლება იყოს და ასევე სხვადასხვანაირია სხვადასხვა იურისდიქციაში. მაგალითად, პროფესიონალი ბუღალტრების განათლების ზოგიერთ პროგრამაში ჩართვისთვის შეიძლება მხოლოდ მოითხოვებოდეს მათემატიკური აზროვნებისა და წიგნიერების კარგი დონე. მეორე მხრივ, ზოგიერთი სპეციალიზებული როლისთვის პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვისთვის შეიძლება დადგენილი იყოს, რომ პიროვნებას უნდა ჰქონდეს საუნივერსიტეტო განათლება (დიპლომი) ან მისი ეკვივალენტური დონის განათლება/კვალიფიკაცია.

გ10. პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს თავისი (ა) ტექნიკური კომპეტენტურობა, (ბ) პროფესიული უნარები და (გ) პროფესიული ფასეულობები, ეთიკისა და ქცევის წესები შეიძლება შეძენილი ჰქონდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის მუშაობის გამოცდილებით, სწავლით ან კვალიფიკაციის/დიპლომის მიღების შედეგად. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობების მოქნილობის უზრუნველყოფა სრულებითაც არ აკნინებს ამ განათლების სიმკაცრეს და არც იმ სტანდარტების მნიშვნელობას, რაც პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს მოეთხოვებათ საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისთვის. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს, ამ განსხვავებული შესაძლებლობების ასახვის მიზნით, შეუძლიათ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვისთვის მოქნილი მოთხოვნების შემოღება, რაც დაეხმარება ყველას, ვისაც კი პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამის წარმატებით დასრულების რეალური შესაძლებლობა აქვს. ამ მოქნილობის მიზანია, პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში მონაწილეობის ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფა და არა პროფესიონალი ბუღალტრის სხვადასხვა კატეგორიის შექმნა. ამგვარი მოქნილობის მაგალითია როდესაც ბსფ-ის წევრი ორგანიზაცია ადგენს წინასაკვალიფიკაციო განათლების მოთხოვნას (უნივერსიტეტის დიპლომი ან მისი ეკვივალენტური პროგრამის დონის განათლება), მაგრამ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში პირდაპირ ჩართვის უფლებას აძლევს იმ პირებსაც, ვისაც არა აქვთ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი, მაგრამ აქვთ, მაგალითად შესაბამის სფეროში მუშაობის გარკვეული სტაჟი.

ა11. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია გარკვეული კრიტერიუმების დადგენა, რომლებსაც გამოიყენებს იმ პიროვნებების დასადგენად, ვინც აკმაყოფილებს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნებს. ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს კვალიფიკაცია (დიპლომი), კურსები (კურსების მოწმობა), პროგრამაში ჩართვის ტესტები ან გამოცდილება (სტაჟი). პროგრამაში ჩართვის მოთხოვნები შეიძლება მოიცავდეს ერთი (ან რამდენიმე) კვალიფიკაციის შეფასებას, გამოცდილებას ან სხვა მოთხოვნებს, რომლებსაც მისაღებად მიიჩნევს ბსფ-ის წევრი ორგანიზაცია. ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მაგალითად, მისი გამოქვეყნებით პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების ბუკლეტებში, ან ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის ვებგვერდზე.

ა12. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ პროფესიონალ ბუღალტრად გახდომის მსურველების დახმარება, კერძოდ, პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამის წარმატებით დასრულების საკუთარი შესაძლებლობის გაანალიზებაში, იმით,

დაეხმარონ მათ პროგრამის შინაარსიის, მისი დონისა და პროგრამის შეფასების მეთოდების განხილვაში.